

გარე მიგრაცია

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	შორენა წიკლაური
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	shtsiklauri@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (601)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2022 წ. 29 აპრილი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2022 წ. 29 აპრილი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2022 წ. 29 აპრილი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
გარე მიგრაციის სტატისტიკა მოიცავს იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობას წლის განმავლობაში.	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
მსოფლიო ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი.	
3.3. სექტორის მოცვა	
ემიგრანტთა და იმიგრანტთა რიცხოვნობა მოიცავს ყველა მიგრანტს წლის განმავლობაში.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>გარე მიგრაცია – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეყნიდან გარეთ ან ქვეყანაში გარედან მიგრაცია.</p> <p>იმიგრანტი – პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს სულ მცირე 183 დღე.</p> <p>ემიგრანტი – პირი, რომელმაც დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი).</p> <p>გარე მიგრაციული სალდო – წლის განმავლობაში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობას შორის სხვაობა.</p> <p>გარე მიგრაციული კოეფიციენტი (მიგრაციის წმინდა ინტენსივობის კოეფიციენტი) – წლის განმავლობაში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობას შორის სხვაობა მოსახლეობის 1 000 კაცზე.</p>	
3.5. სტატისტიკური ერთეული	
მიგრანტი.	
3.6. სტატისტიკური პოპულაცია	
მიგრანტების რიცხოვნობა.	
3.7. საანგარიშო არეალი	
მოიცავს მთელი ქვეყნის მონაცემებს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.	
3.8. დროის მოცვა	
<p>1960 წლიდან – გარე მიგრაციული სალდო.</p> <p>2002 წლიდან – იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით;</p> <p>2012 წლიდან – იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობა სქესის, ასაკისა და მოქალაქეობის მიხედვით.</p>	

3.9. საბაზო პერიოდი
-
4. ზომის ერთეული
რიცხოვნობა, პრომილე (‰).
5. საანგარიშო პერიოდი
კალენდარული წელი.
6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
მემორანდუმი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ.
7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
<ol style="list-style-type: none"> საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, <ol style="list-style-type: none"> 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437
7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა
<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8. გამოქვეყნების პოლიტიკა
8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
წლიური (საბოლოო) მონაცემები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს-რელიზები
პრეს-რელიზი წარმოადგენს მიგრაციის შესახებ ოფიციალურ პუბლიკაციას, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულად წელიწადში ერთხელ ქართულ და ინგლისურ ენებზე: https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=9
10.2. პუბლიკაციები
კრებული „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია: https://www.geostat.ge/ka/single-categories/114/mosakhleoba
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები განთავსებულია საქსტატის საიტზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში: http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
დემოგრაფიული პორტალი: http://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები

<p>ძირითადი მომხმარებელია: სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აკადემიური წრეები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოქალაქეები.</p> <p>ძირითადად გამოიყენება: ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის გასაშუქებლად ნაშრომების, თემების, ანალიზის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და სხვ.</p>
<p>12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება</p> <p>2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service</p>
<p>12.3. სისრულე</p> <p>ხელმისაწვდომია იმიგრანტების და ემიგრანტების შესახებ შემდეგი მონაცემები: ასაკი, სქესი და მოქალაქეობა.</p>
<p>13. სიზუსტე და სანდოობა</p>
<p>13.1. ზოგადი სიზუსტე</p> <p>-</p>
<p>13.2. შერჩევითი ცდომილება</p> <p>-</p>
<p>13.3. არაშერჩევითი ცდომილება</p> <p>-</p>
<p>14. დროულობა და პუნქტუალობა</p>
<p>14.1. დროულობა</p> <p>მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 4 თვის შემდეგ.</p>
<p>14.2. პუნქტუალობა</p> <p>მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.</p>
<p>15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა</p>
<p>15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული</p> <p>მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულებისთვის (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები).</p>
<p>15.2. შესადარისობა – დროში</p> <p>მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.</p>
<p>15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის</p> <p>-</p>
<p>15.4. თანამიმდევრულობა – შიდა</p> <p>-</p>
<p>16. დანახარჯები და დატვირთვა</p> <p>მიგრაციული მოძრაობის მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროს მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.</p>
<p>17. მონაცემთა გადასინჯვა</p>
<p>17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა</p> <p>სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf</p>
<p>17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა</p> <p>აღწერათა შორის პერიოდში მოსახლეობის გადაანგარიშება ხდება აღწერის შედეგების და შესაბამისი წლების დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.</p>

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა. 2018 წელს ხელმისაწვდომი გახდა 1994-2014 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებული შედეგები. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე:
<https://www.geostat.ge/ka/single-archive/3199>

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

ინფორმაციას იმიგრანტებისა და ემიგრანტების შესახებ საქსტატი იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

წლიურად.

18.3. მონაცემთა შეგროვება

წლის განმავლობაში დემოგრაფიული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება სრულად.

18.4. მონაცემთა კონტროლი

გამოქვეყნებამდე ხორციელდება მონაცემების ლოგიკური კონტროლი.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

გარე მიგრაციის მონაცემთა გაწმენდის და დაზუსტების შემდეგ ხდება მიგრაციული სტატისტიკის წარმოება.

18.6. მოსწორება

-

19. კომენტარი

-